გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების
ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

GEORGE CHUBINASHVILI NATIONAL RESEARCH CENTRE FOR
GEORGIAN ART HISTORY AND HERITAGE PRESERVATION

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი

Georgian Antiquities

25

თბილისი
Tbilisi
2022

რედაქტორ-გამომცემლები
სამსონ ლეჟავა
ციცინო ჩაჩხუნაშვილი

Editors
Samson Lejava
Tsitsino Chachkhunashvili

სარედაქციო ჯგუფი
მარინე ყენია
ნატალია ჩიტიშვილი

Editorial Group
Marine Kenia
Natalia Chitishvili

გარეკანზე:
ჭედური კარი უღვალის წმ. გიორგის ეკლესიიდან (სვანეთი).
XV ს., ფოტო ნ. ჩიტიშვილის

On the cover:
Silver door from the church of St George in Ugvali (Svaneti).
15th c., Photo by N. Chitishvili

© გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა
და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი
© George Chubinashvili National Research Centre for Georgian Art History
and Heritage Preservation

დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილი“

http://gch-centre.ge

ISSN 1512-1321

სარჩევი

კიტი მაჩაბელი

ქართული კულტურის მძლავრი კერა

ბ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა

და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი – 80 11

კიტი მაჩაბელი

შუა საუკუნეების ქართული წერილობითი წყაროები

ლითონმქანდაკებლობის შესახებ 15

ნოდარ არონიშიძე

მატანის „ცხრაკარა“ – დათარიღების საკითხი 34

ქეთევან დიღმელაშვილი

ვანისჯალის ქვა-საყუდარი (არქეოლოგიური გათხრების მიხედვით) 61

ლეილა ხუსკივაძე

ვარძიის სახარების ძვირფასი ყდა 76

ნელი ჩაკვეტაძე

ახალი მასალები ტაო-კლარჯეთის მოხატულობის

შესწავლისათვის: იშხანი 96

ნინო ჭიჭინაძე

ათონის მთის ივირონის ქართველთა მონასტრის ხელოვნების

პატრონაჟის რეკონსტრუქციისათვის (X-XIII საუკუნეები) 135

სალომე გოგოლაური

ქორეთის მაცხოვრის ეკლესია 147

იზოლდა ჭიჭინაძე

ჯრუჭის II ოთხთავის „ჯვარცმის“ მინიატურის

იკონოგრაფიისათვის 178

ნიკოლოზ ჟღენტი

ერკეთის მთავარანგელოზთა ეკლესიის ძველი კანკელის

უცნობი ასომთავრული წარწერა და სვანეთის უცნობი

ერისთავთ-ერისთავი მიქელი 221

ვალერიან გიორგობიანი

გელათის ღმრთისმშობლის კარედის მოჭედილობის

პროგრამა და მისი ისტორიული ასპექტი 240

ელისო ჩუბინიძე, ირინა უგრეხელიძე

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული დიდი

დაფარნა-ბარდამოხსნის ისტორიისა და იკონოგრაფიისათვის 273

თეა ინწკირველი

გამოწვევები ხატწერის განახლების გზაზე –

კანონიკის ზოგიერთი ასპექტის შესახებ 286

CONTENTS

Kitty Machabeli

IMPORTANT HOTBED OF THE GEORGIAN CULTURE,
G. CHUBINASHVILI NATIONAL RESEARCH CENTRE FOR
GEORGIAN ART HISTORY AND HERITAGE PRESERVATION – 80 11

Kitty Machabeli

MEDIEVAL GEORGIAN LITERARY SOURCES
IN REGARDS TO THE ORFÈVRERIE 15

Nodar Aronishidze

MATANI "TSKHRAKARA" – PROBLEM OF THE CHURCH DATE 34

Ketevan Digmelashvili

VANISTCHALA ROCK-HERMITAGE
(BASED ON THE ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS)..... 61

Leila Khuskivadze

PRECIOUS BOOK-COVER OF VARDZIA GOSPEL..... 76

Neli Chakvetadze

NEW MATERIALS FOR THE STUDY OF TAO-KLARJETI MURAL:
ISHKHANI 96

Nino Chichinadze

RECONSTRUCTION OF ARTISTIC PATRONAGE OF THE GEORGIAN
MONASTERY OF IVIRON AT MOUNT ATHOS IN THE 11TH-13TH CC. 135

Salome Gogolauri

THE CHURCH OF THE SAVIOUR IN KORETI..... 147

Izolda Chichinadze

ON THE ICONOGRAPHY OF THE CRUCIFIXION MINIATURE

IN JRUCHI II GOSPEL 178

Nikoloz Zhghenti

UNKNOWN INSCRIPTION ON THE ANCIENT

CHANCEL-BARRIER OF ERKETI ARCHANGELS CHURCH

AND THE UNKNOWN SVANETIAN GOVERNOR MIKEL 221

Valerian Giorgobiani

PROGRAMME OF THE REPOUSSÉ REVETMENT OF GELATI

TRIPTYCH OF THE VIRGIN AND ITS HISTORICAL ASPECT 240

Eliso Chubinidze, Irina Ugrekhelidze

ON THE HISTORY AND ICONOGRAPHY OF THE GREAT AER-EPITAPHIOS
PRESERVED IN KUTAISI STATE HISTORICAL MUSEUM 273

Thea Intskirveli

CHALLENGES ON THE WAY TO THE REVIVAL OF ICON PAINTING –

ON CERTAIN ASPECTS OF THE CANONICAL NORMS 286

ეძღვნება

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის

დაარსების 80 წლის იუბილეს

ნოდარ არონიშიძე
გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების
ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

ვუძღვნი ჩემი მასწავლებლის,
დიმიტრი თუმანიშვილის ხსოვნას...

მატანის „ცხრაკარა“ – დათარიღების საკითხი

სამონასტრო კომპლექსი, რომელიც ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, ტყეში მდებარეობს, მოიცავს სხვადასხვა დროისა და ფუნქციის მრავალ ნაგებობას. კომპლექსის ძირითადი და უძველესი შენობა, V საუკუნის შუა ხანით დათარიღებული ბაზილიკა, სრულებით ლოგიკურად, მოქცეულია მომდევნო დროით მონაკვეთებში ეტაპობრივად გამართულ მშენებლობათა „მართკუთხედში“. არქიტექტურული ანსამბლი მოზღუდულია ირეგულარული მოხაზულობის, არც თუ მაღალი გალავნით, რომლის ნაწილებიც დაზიანებულია. კომპლექსის საერთო-გეგმარებითი გადაწყვეტა ნათლად ასახავს ცენტრალური ნაგებობის, ბაზილიკის არა მხოლოდ დროით პირველადობას, არამედ მისი კომპოზიციურ-განთავსებადი არეალის უპირატეს მნიშვნელობასაც გასაზღვრავს, რადგან სწორედ მის ირგვლივ იქნა ჩამოქნილი და გათვალსაჩინოებული ადგილის ის ისტორიული ცვალებადობა, კომპლექს-ანსამბლის ჩამოყალიბების ლოგიკა, რომელიც სადღეისოდაა წარმოდგენილი.

იმთავითვე აღსანიშნავია, რომ „ცენტრის“ ირგვლივ მოწყობილი და დიდწილად მას დაქვემდებარებული ძეგლების ნაწილი ბაზილიკის უშუალო მინაშენის სახითაა მოცემული, თუმცა მისგან ჩრდილო-დასავლეთით გვხვდება განცალკევებით, რამდენიმე მეტრის მოშორებით მდგომი, მცირე ზომის დარბაზული ეკლესია. ასეთივე, მომცრო მოცულობით ხასიათდება ცენტრალური ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთით, გეგმი დონეზე შემორჩენილი დარბაზული ტაძარიც. სამონასტრო კომპლექსის დანგრეულ, გეგმის დონეზე შემორჩენილ თუ მიწაში მოქცეულ ნაგებობათა შესახებ მსჯელობას, კონკრეტული მიზნობრიობიდან გამომდინარე აღარ განვაგრძობთ, თუმცა უთუოდ უნდა შევეხოთ ბაზილიკის ოთხსავე მხარეს გამართულ მინაშენებს (ნახ. 1).

1. დასავლეთით, ცენტრალური შესასვლელისადმი პროპორციულად, კარიბჭეა წარმოდგენილი.

2. ბაზილიკის სამხრეთით ნაგებია მცირე ზომის დარბაზული ეკლესია, რომელიც აღმოსავლეთით ცენტრალური ტაძრის პირს უსწორდება, ხოლო დასავლეთით მცირედ აღემატება ტაძრის მთელი სიგრძის ნახევარს.

3. ჩრდილოეთ ფრთაზე განთავსებული დარბაზულივე ეკლესია ცენტრალური ბაზილიკის მიმართ, გეგმარებითი თვალსაზრისით, იმავე მახასიათებლების მქონეა, როგორც სამხრეთი მინაშენი, თუმცა იმ განსხვავებით, რომ პროპორციებით ჩრდილოეთით მდებარე სივრცე შედარებით მოზრდილია.

4. ტაძრის აღმოსავლეთით ჩანს ორი დამოუკიდებელი მინაშენი, როგორც ფუნქციურად ისე, სავარაუდოდ, დროითაც ურთიერთმსხვაობარი. ორივე შენობა საერთო სახით მართკუთხა მოხაზულობას იმეორებს, თუმცა მათი გეგმარებით-სივრცითი მახასიათებლები პრინციპულად სხვაობს ერთმანეთს.

კომპლექსის ცენტრალური ნაგებობა, გეგმის სწორკუთხედში მოქცეული ბაზილიკა, პროპორციებით თითქმის კვადრატსაა მიახლოებული, ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვის ნარევი წყობით, ხოლო კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ნაწილები გამოყვანილია მოყვითალო ფერის შირიმის კვადრებით[1]. ნაგებობის ძირითად სივრცით-გეგმარებით მაფორმირებელ ელემენტებად წარმოდგენილია ვიწრო, მცირე მოცულობისა და გვერდით სივრცეებთან შედარებით, გაცილებით მაღალი, ცენტრალური დარბაზი, რომელიც ნახევარწრიული მოხაზულობის აფსიდითაა განსრულებული. ცენტრის ორ მხარეს განთავსებული ვიწრო ნავები, აღმოსავლეთის დამასრულებელი სათავსებით იკვრება. მნიშვნელოვანია, რომ გვერდითი ნავები ერთმანეთს ცენტრალური სივრცის დასავლეთით არსებული გარშემოსავლელით უკავშირდებიან და, საერთო სახით, იქმნება მთავარი დარბაზის სამმხრივ-მომფარგვლელი, ცენტრალურ სივრცესთან თაღ-კარებით დაკავშირებული, „გალერეა-გარშემოსავლელი“ (სურ. 1).

მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ბაზილიკა და მისი სხვადასხვა კონსტრუქციული ელემენტი რამდენიმეგზის იქნა გადაკეთებული, რაც გვავალდებულებს მათი ავთენტურობის რკვევას ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, იმ ნაწილების ნათლად წარმოჩენას, რომლებიც შემდგომი პერიოდის გადაკეთებას უკავშირდება და იმავდროულად მონაწილეობს ძირითადი სივრცით-გეგმარებითი სახის კონსტრუირებაში. ამდენად, ნაგებობის უმთავრესი მახასიათებლების მონახაზისას ცხადია, ვრჩებით გადაკეთებით ნაკარნახევ გარკვეულ პირობითობაში. კვლევის სტრუქტურისა და მიზნობრიობის გათვალისწინებით შესაძლო გადაკეთებათა უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს წერილის დამასრულებელ მსჯელობაში უცილობლად დავუბრუნდებით.

კვლავაც, რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხოთ ნაგებობის ძირითად მახასიათებლებს, რომლებიც თავის მხრივ, აყალიბებს და ფორმად-ქმნის იმ უძირითადეს გეგმარებით, კონსტრუქციულ თუ სივრცით ელემენტებს, რომლებიც უალტერნატივო მნიშვნელობისაა ძეგლის შემდგომი დათარიღების ობიექტურობისთვის.

ამრიგად, ცენტრალური დარბაზი ჩრდილოეთით არსებულ ნავს მართკუთხა კვეთის ერთ ბურჯზე დამყარებული ორი, ნახევარწრიული, თაღით უკავშირდება – შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სივრცე არსებითად ავთენტური ფორმითაა შემორჩენილი და მასზე მოგვიანო გადაკეთებათა მნიშვნელოვანი კვალი თითქმის არ ივარაუდება. ნავის აღმოსავლეთი ბოლო, ცენტრალური დარბაზის აფსიდის

[1] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მატანის „ცხრაკარას“ ტიპოლოგიის საკითხი დამატებითი, დამოუკიდებელი მსჯელობის საგანია. მიგვაჩნია, რომ მოცემული ნაგებობა შესაძლოა განხილული იყოს არა სამნავიანი ბაზილიკის, არამედ ორნავიანი ეკლესიის კონტექსტში, თუმცა აღნიშნული მიმართულების განვითარება მხოლოდ მას შემდეგაა შესაძლებელი, რაც ძეგლის დათარიღებასთან დაკავშირებული სირთულეები გადაჭრილად ჩაითვლება. ამრიგად, უახლოეს მომავალში დამოუკიდებელი წერილის სახით წარმოვადგენთ მატანის „ცხრაკარას“ ნაგებობის ტიპოლოგიური რაგვარობის საკითხს – მანამდე კი, წინამდებარე კვლევაში, ის მოხსენიებული იქნება, როგორც ბაზილიკა.

გასწვრივ, მართკუთხა სათავსს უკავია, რომლის აღმოსავლეთ კედელშიც ვიწრო სარკმელია გაჭრილი. სათავსში შესასვლელი ორი კარიდან ერთი, ცენტრალური ტაძრის საკურთხეველთან მაკავშირებელი, გვიანდელი გადაკეთების შედეგია, რაც ნათლად იკითხება მის საპირე, აგურის წყობაში, ხოლო „სამკვეთლო სადგომის“ დასავლეთით მოცემული შესასვლელი თავდაპირველია – მისი გამართვის ფორმა, ჩრდილოეთი კედლიდან უნაკერო შვერილით გამომავალი კარის კედელი, ამის უმთავრესი მადასტურებელია. საყურადღებოა, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთით არსებული სამკვეთლო სათავსის გადახურვა შედგენილია პირამიდისებრი კამარით, ხოლო მისი ავთენტური კარი, სათავსის მხრიდან სწორკუთხა ფორმის, ნავის მხრით კი ნახევარწრიული მოხაზულობითაა დასრულებული. ჩრდილოეთი ნავის ჩრდილოეთ კედელში ტაძარში შესასვლელი ერთი კარია გაჭრილი, რომელიც განთავსებულია კედლის ცენტრალური ღერძიდან მოშორებით, აღმოსავლეთ მხარეს. კარის ამგვარი განთავსება აცდენილია ერთი მხრივ, მის მოპირდაპირედ მოცემულ სამხრეთის შესასვლელ ღიობს, ხოლო მეორე მხრივ, მისი ჭრილი ნაწილობრივ ემთხვევა ცენტრალური დარბაზისა და ჩრდილოეთი ნავის მაკავშირებელი თაღედის შუა სვეტს. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთი ნავი ნახევარწრიული კამარითაა გადახურული და კონსოლებზე დამყარებული საბჯენი თაღით ორ თანაბარ ნაწილად დანაწევრებული. ასევე განიერი, მოგვიანებით ოდნავ გადაკეთებული, თაღია მოცემულია ნავის დასავლეთ ნაწილში, რომელიც დასავლეთი გარშემოსავლელისა და ჩრდილოეთი ნავის მაკავშირებელ ფუნქციას ასრულებს (სურ. 2-3).

განსხვავებით ტაძრის ჩრდილოეთი ნავისგან, სამხრეთი სივრცე მეტი დანაწევრებულობითა და დამოუკიდებლობით, „თვითკმარობით“ ხასიათდება – ორი განივი თაღით ის, პირობითად, სამ ნაწილადაა დაყოფილი. ნახევარწრიული აფსიდით დაბოლოებული ნავის აღმოსავლეთ ბოლოში ჩანს დამოუკიდებელი საკურთხეველი, კედლის აღმოსავლეთ კიდეს მიბჯენილი ტრაპეზის ქვითა და მის თავზე გაჭრილი ვიწრო სარკმლით, რომელიც არ გახლავთ თავდაპირველი – მიჩნეულია, რომ სათავსი იმთავითვე უსარკმლოდ იყო გადაწყვეტილ-გააზრებული. აფსიდის წინ წარმოდგენილი მართკუთხა გეგმარების სივრცობრივი მონაკვეთი კი, ლოგიკურად, საკურთხევლის-წინა არეალს აფორმირებს და მასთან ერთად, მცირე დარბაზის სახეს ღებულობს, რომელიც აღმოსავლეთით საკურთხევლის აფსიდითაა დასრულებული. მნიშვნელოვანია, რომ მომცრო „დარბაზის“ ჩრდილოეთით არსებული, ცენტრალურ ნავთან მაკავშირებელი, თაღი გვიანდელი გაჭრილია. სამხრეთი ნავის მომდევნო სივრცით-გეგმარებითი მონაკვეთი მართკუთხა მოხაზულობის მქონე სათავსია, რომელიც გადახურულია გუმბათოვანი კამარით – დასახელებული მონაკვეთის, მისი გუმბათის, გუმბათქვეშა სივრცისა და კონსტრუქციული ელემენტების შესახებ დამატებით მსჯელობას აღარ განვაგრძობთ – ვიტყვით მხოლოდ, რომ გუმბათი დამყარებულია რვაკუთხედზე, მისი კამარა და ტრომპები კი შირიმითაა ნაგები. ნავის ცენტრალური, გუმბათოვანი კვადრატის ორსავ მხარეს მოცემული გადახურვა სხმული კამარის სახითაა წარმოდგენილი, რომელიც ცენტრალური ნავის კედელს მიბჯენილ, გვიანდელ თაღებს ზემოთ ჯდება. სამხრეთი ნავის თითქმის ცენტრალურ ნაწილში გაჭრილია ნაგებობის მთავარი შესასვლელი.

ტაძრის დასავლეთი გარშემოსავლელი თითქმის ორჯერ უფრო განიერია გვერ-

დით ნავებთან შედარებით, ხოლო მისი გადახურვა, სხმული კამარის აღმოსავლეთი ქუსლი, ცენტრალური ნავის დასავლეთ კედელზე მიშენებულ პილასტრებს ემყარება. აღნიშნული საყრდენები, თავის მხრივ, სხვადასხვა ზომის სამმალიან თაღედს წარმოქმნის მთავარი ნავის დასავლეთ კედელზე, რომლის ცენტრალურ წრედში მოქცეულია დასავლეთი „ნავის“ დარბაზთან მაკავშირებელი მაღალი და განიერი თაღოვანი ღიობი. გარდა ამისა, უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას მოიცავს, როგორც თავად დასავლეთი გარშემოსავლელის გადახურვის სისტემა, თავისი შემდგომდროინდელი გადაკეთებით, ისე მისი ბმა სამხრეთისა და ჩრდილოეთი ნავების გადამხურავ კამარებთან. მოცემული სივრცის მაფორმირებელი კიდევ ერთი, ძალზე მნიშვნელოვანი ავთენტური ელემენტი, სახეცვლილია ისევე, როგორც ტაძრის მრავალი სხვა მონაკვეთი – ამდენად, ნაგებობის თავდაპირველი სახის შესახებ, იქნება ეს გეგმარებითი თუ სივრცით-კონსტრუქციული, მსჯელობა განსაკუთრებით რთულდება (სურ. 4-5).

ძეგლის სრულფასოვანი შესწავლა-ანალიზისა თუ მისი შემდგომი დათარიღებისთვის საბაზისოდ აუცილებელი ინფორმაციული აღწერის საჭიროების მიუხედავად, არ შევეხებით ავთენტური, ხელშესახები, სახეცვლილი თუ ძველისა და ახლის სინთეზით მიღებული, ერთი შეხედვით მცირედი მნიშვნელობის, ელემენტთა დეტალურ განხილვას – ეს მასალა, ფრაგმენტულად, წარმოდგენილი იქნება კონკრეტული საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შედარებითი ანალიზის პროცესში.

V საუკუნის შუა ხანით ნაგებობის სადღეისოდ მიღებული დათარიღება, რაღა თქმა უნდა, გ. ჩუბინაშვილს ეკუთვნის, რომელმაც „ცხრაკარას“ მონასტერი 1920-1930-იან წლებში რამდენიმეგზის მოინახულა[2]. ბიბლიოგრაფიის „სავალდებულოდ“ ვრცელი და ზედმიწევნითი განხილვა-ანალიზის გარეშე უნდა ითქვას, რომ წინამდებარე თარიღი, სრულებით ლოგიკურად, გაზიარებულ იქნა სამეცნიერო საზოგადოების მიერ და ის ყოველ მომდევნო გამოცემაში, რაც ჩვენთვის ცნობილია, ამავე დროითი მონაკვეთითაა განსაზღვრული[3].

ვფიქრობთ, არ იქნება მოულოდნელი თუ ძეგლის პირველ-მკვლევარის დარად მხატვრულ-სტილისტური თუ შედარებითი ანალიზის ერთგვარ ქვაკუთხედად, გარდა სხვა რამდენიმე მნიშვნელოვანი შენობისა, იმავე V საუკუნით დათარიღებულ, ძველი შუამთის ბაზილიკას მივიღებთ, რომელიც გეგმარებითი თუ სივრცითი გადაწყვეტით, შეიძლება ითქვას, რომ მკაფიო ანალოგს წარმოადგენს მატანის განხილული ძეგლისა – უფრო „კორექტულად“ კი, ძველი შუამთა, მკვეთრად გამოხატული და ვგონებთ, უეჭველად ადრეულობის მრავალი ნიშნით დაღდასმული, წარმოადგენს ერთგვარ იმპულსს, პირველწყაროს, საფუძველს თუ გნებავთ ნიმუშს, რომლის პირდაპირი თუ ირიბი გამეორების შედეგადაც უნდა მივიჩნიოთ „ცხრაკარას“ ბაზილიკა (ნახ. 2). მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, თავად გ. ჩუბინაშვილი შენიშნავს: „შეუძლებელია მატანის „ცხრაკარას“ მშენებელში არ დავინახოთ, რომ მან იცოდა ძველი შუამთა და უნდოდა კიდეც მისთვის მიებაძა. ეჭვგარეშეა, რომ ის

[2] Г. Чубинашвили, *Архитектура Кахетии,* Тбилиси, 1959, გვ. 48-55.

[3] ნ. ჯაბუა, *სანმავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი საქართველოში*, თბ., 2009, გვ. 210; *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა,* თბ., 2008, ტ. II. გვ. 116-119; ვ. ბერიძე, *ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია*, ტ. I, თბ., 2011, გვ. 56-57; ტ. II, გვ. 84.

ცდილობდა ეს აზრი ჩაედო ნაგებობაში, მაგრამ არასაკმარისი ნიჭი და მხატვრული აღმაფრენა ჩანს ყველგან. ეს არის საშუალო დონის ნაგებობა, თუმცა მცდელობითი ძალდატანება იკითხება ყველა საფეხურზე. ამიტომ ძველი შუამთის მსგავსი ზომების გამოყენებით მას უნდა ყველა პროპორციაში გასცდეს საზღვარს, გასცდეს დელიკატურ მინიატურულობას და შეჰქმნას ნაგებობა, რომელიც უფრო დიდის შთაბეჭდილებას ტოვებს, ამიტომაც აკეთებს უფრო მაღალს"[4]. იმ შემთხვევაში თუ ძველი შუამთის უგუმბათო ნაგებობას და მის დათარიღებას მივიღებთ, რისი უარყოფისთვისაც არავითარი საფუძველი, სადღეისოდ, არ გაგვაჩნია გამოდის, რომ მისი ძიერ სქემატიზირებული შეფასება-განმარტებით ლაკონურობა, სიმერტრიულობა და, შეიძლება ითქვას, გეგმარებითი სიმარტივეც ცალსახა დაპირისპირებულობით ხასიათდება მატანის „ცხრაკარას" დანაწევრებულ-დანაწყვეტებულ, ასიმეტრიულ, არეულ და მძიმე მოწყობასთან მიმართებით[5] (სურ. 6).

ამრიგად, ძველი შუამთის გეგმარებითი კომპოზიციის მკაფიოება, სიმეტრიულობა და სიმარტივე, ესოდენ სახასიათო ადრეული პერიოდის სამშენებლო ტრადიციებისთვის, ყველაზე უფრო მეტად თავჩენილია გრძივი და განივი ღერძების ცენტრალიზებით. ვხედავთ ერთი მხრივ, მთავარი დარბაზის კომპაქტურობას და თანაბარმნიშვნელოვან დანაწევრებას, ხოლო მეორე მხრივ, მის ირგვლივ განთავსებული სამმხრივი გარშემოსავლელ-ნავების სრულ თანხვდენას შუა სივრცის გადაწყვეტასთან. ცენტრალური დარბაზის აღმოსავლეთი ნაწილი, პროპორციული თანაფარდობით, მაინც ღრმა აფსიდს ეთმობა, რომლის გადმოღმაც მთავარი სადგომი, სვეტებზე გადამავალი და პილასტრებზე დამყარებული თაღედით, ორ თანაბარ ნაწილად, ერთგვაროვან მოცულობად ფორმირდება. ძირითადი ნავის ყველა თაღოვანი ღიადი ერთმანეთის პარალელური და სიმეტრიულია – დასავლეთით არსებული ღიობი საკურთხევლის სარკმლისა და ტაძრის ცენტრალურ ღერძზეა განთავსებული, ხოლო ჩრდილო-სამხრეთით მოცემული ორმალიანი გახსნილობა ზომებითა და პროპორციული გადაწყვეტით ერთმანეთის ანალოგიურია. გარდა ამისა, თავად ტაძარში შემავალი სამივე კარი სრულადაა მორგებული ცენტრის, უკვე ხსენებულ, სიმეტრიულ გააზრებას – ჩრდილოეთისა და სამხრეთის შესასვლელები ისეა მოწყობილი, რომ ისინი ქმნიან ღია, ერთიანი და გამჭოლი დერეფნის სახეს ისევე, როგორც ეს დასავლეთი შესასვლელის შემთხვევაშია წარმოდგენილი. მოცემული მაცენტრალიზებელი ღერძები ძირითადი კორპუსისა და სივრცის სწორედ ცენტრში იკვეთება[6]. ამავე თვალსაზრისით აღსანიშნავია, ძეგლის გარშემოსავლელი სტრუქტურა და

[4] Г. Чубинашвили, *Архитектура Кахетии...,* გვ. 53-54.

[5] საფიქრებელია, რომ ადრეული შუა საუკუნეების ქართული ტაძართმშენებლობის ერთი სახასიათო „მამეტყველებელი" მოცემულობა – ფორმათა, სივრცე-სათავსთა, კონსტრუქციულ ელემენტთა თუ სივრცით მაორგანიზირებელ მოცულობათა – „სიმეტრიულობა და სიმარტივე", როგორც ეს შუამთის ადრეულ ბაზილიკაშია თავჩენილი, თავის მხრივ, გულისხმობს და ათვალსაჩინოებს კულტურის ადრეულობის გარდუვალ პირველ-საფუძვლებს. მხედველობაში გვაქვს „მხატვრული აზროვნების" ლოგიკა, რომელიც ფუნქციისა და ფორმის ძიერ დაბალანსებულობას, ურთიერთ-გათვალისწინებულობას წარმოგვიდგენს.

[6] რა თქმა უნდა, მრავალი მიზეზის გამო მხედველობაში ვერ მივიღებთ აღმოსავლეთი სტრუქტურის სივრცით მონაკვეთს – მათ შორის, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული არე დამოუკიდებელი სივრცითი და ფუნქციური ერთეულია, რომელიც არ მონაწილეობს სამრევლო სადგომის დაყოფა-დანაწევრებაში.

განსაკუთრებით, მისი დაუნაწევრებელი თუ ერთიანი დენადობა ჩრდილოეთი და სამხრეთი ნავების აღმოსავლეთი კედლების ბოლოებამდე. მოცემული გააზრება ისეთივე მნიშვნელოვანია უკვე დასახელებული სიმარტივე-სიმკაფიოვე-სიმეტრიულობის მხატვრული გააზრების კონტექსტში, როგორც ქრისტიანული ტაძრის აღმოსავლეთი სტრუქტურის ლიტურგიული გადაწყვეტის მიმართულებით. შესაბამისად, გარდა ფორმითი-მეტყველების ადრეულობისა შუამთაში თავჩენილია გეგმარებითი სტრუქტურის ანუ ფუნქციის მაარქაიზებელი ნიშნებიც. ის, რომ აღმოსავლეთი ბოლოები გვერდითი ნავებისა არ ქმნის დამოუკიდებელი სათავს-სადგომების ერთეულებს – სამკვეთლოსა და სადიაკვნეს ან, საზოგადოდ, მოსაზღვრულ რაიმე მოცულობას, ცხადია, კვლავაც გვავალდებულებს მოცემული ნაგებობის ადრექრისტიანულ კონტექსტში გააზრების აუცილებლობას.

ყოველგვარი დეტალიზების გარეშე, მარტივი შედარებითაც ნათლად იკვეთება, როგორც გეგმარებითი, ისე სივრცითი სტრუქტურების ძლიერი სხვაობა მატანისა და შუამთის ბაზილიკებს შორის – „ცხრაკარაში“ სრულებითაა აცდენილი ერთმანეთს დასავლეთ-აღმოსავლეთი და ჩრდილო-სამხრეთი ღერძები, რაც მათი გადაკვეთის წერტილის აცენტრალურობით დასტურდება. ამას გარდა, ძლიერ სხვაობს შესადარებელ ძეგლთა ცენტრალური ნავების სივრცით-გეგმარებითი მოწყობა, მათ ირგვლივ განთავსებული, გარშემოსავლელ სისტემასთან მაკავშირებელი ღიადები. ურთიერთ-მსხვაობარია თაღების, კონსტრუქციული ელემენტებისა თუ მატანის გარშემოსავლელში არსებული „პილასტრების“ გადაწყვეტა. ასევე, ერთმანეთს სრულებით არ თანხვდება გვერდით ნავთა საერთო გააზრების პრინციპები ისევე, როგორც მთლიანად სამმხრივი გარშემოსავლელის „იდეური მოწყობა“[7]. ძველი შუამთისგან განსხვავებით, მატანში მკვეთრად დანაწევრებული და დანაწყვეტებულია სამივე ნავი – ცალ-ცალკე თუ ერთობლივად. უმნიშვნელოვანესია ძეგლთა აღმოსავლეთი სტრუქტურა და მათი მკაფიოდ მსხვაობარი გააზრების თავისებურებები. ასე მაგალითად, ძლიერ განსხვავებულია აფსიდის ფორმები, სადაც შუამთის სიღრმივი გადაწყვეტის საპირწონედ, რომელიც ადრეულობის ერთი ნიშანთაგანია, მატანში მოცემულია საკმაოდ მოკლე აფსიდა. გვერდითი ნავების აღმოსავლეთი, კიდურა, მონაკვეთები ასევე მსხვაობარი დაგეგმარებით ხასიათდება – თუ შუამთაში უსათავსო, დაუნაწევრებელი არეებია დატოვებული, „ცხრაკარას“ მაშენებელი მათ ფუნქციურად ტვირთავს და სივრცობრივად გამოჰყოფს – ესეც დროით-მათარიღებელი ერთი, მკაფიო ნიშანთაგანია[8].

---

[7] მხედველობაში გვაქვს ადრექრისტიანული ხანის ქარული ხუროთმოძღვრების ნიმუშებში, იქნება ეს სამნავიანი თუ სამეკლესიიანი ბაზილიკები, თავჩენილი გალერეა-გარშემოსავლელთა მოწყობა-გადაწყვეტისა თუ მათი, საერთო სახით, გააზრების პრინციპები, სადაც, უმეტესწილად, მთავარი მახვილი გალერეათა „ურთიერთგადადინების“ თავისუფლებაზე, აღქმის სიმარტივესა და ნავთა ღიობების ურთიერთმიმართების პროპორციულობაზე მოდის. გალერეა იქნება თუ გარეშემოსავლელი, ადრეულ პერიოდში, ისევე, როგორც შუამთის ბაზილიკაში, ქმნის დენად, ერთგვარად შეუდგენელ, თავისუფალ და სიმეტრიულ სვლას ცენტრალური სათავსის, ირგვლივ – ეს უკანასკნელი, ორი მხრით ებჯინება ან სამმხრივ შემოევლება ცენტრალურ დარბაზს ისე, რომ მკაფიო სიმეტრიულობა-ცენტრალიზებით ესადაგება მთავარ სივრცეს ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, ამგვარივე სიმწყობრის პრინციპის დაცვით უერთდება ერთი-მეორეს.

[8] მიუხედავად ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული განსხვავებული მოსაზრებებისა, პასტოფორიუმთა, სამკვეთლო-სადიაკვნის სათავსთა უადრესი თავჩენა ქართულ ხუროთ-

ამდენად, ერთი შეხედვით ესოდენ მსგავსი გეგმარების მქონე ორი ნაგებობის სივრცითი, კონსტრუქციული, მხატვრული თუ ფუნქციური ურთიერთ-შედარება ვგონებთ, ნათელჰყოფს, რომ საქმე გვაქვს არათანადროულ, ერთი-მეორის მიბაძვით შექმნილ ძეგლებთან, სადაც შუამთის ბაზილიკა უსათუოდ ადრეული ქართული ტაძართმშენებლობის ნიშნების მატარებელია[9].

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც შესაძლოა მატანის „ცხრაკარას" დათარიღების მიმართულებით არსებითი ნიშნების მატარებელი გამოდგეს, ახმეტის „ღვთაებაა". აღნიშნული საერთოობა თუ ერთგვაროვან ფორმათა თავჩენა დასახელებულ ნაგებობათა შორის, იქნება ეს სივრცით-მაორგანიზებელი თუ გეგმარებითი ხასიათის, უკვე მრავალგზის იქნა შენიშნული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში – მათ შორის, თავად გ. ჩუბინაშვილი „ცხრაკარას" ხსენებული დათარიღების გამყარების მიზნით, როგორც პარალელსა და გარკვეული სახის ანალოგს, მიმართავს „ღვთაების" ეკლესიის პირდაპირ ანალიზს. ამგვარი ანალოგიის მიზნობრიობას მკვლევრისთვის „ცხრაკარას" ადრეულობის მადასტურებელი ნიშნების თავჩენა წარმოადგენდა, რომელსაც ის ამ უკანასკნელში ნამდვილად არსებული მონაცემების საფუძველზე ვარაუდობდა. იმის გათვალისწინებით, რომ გ. ჩუბინაშვილი ახმეტას VI საუკუნით ათარიღებდა, ლოგიკურია, რომ მასთან მიმართებით წარმოჩენილი გარკვეული ტიპის მსგავსებანი, მატანის ნაგებობის ადრეულობით დათარიღების მნიშვნელოვანი საყრდენი იქნებოდა – ის წერს: „შუამთის ბაზილიკასთან შედარება იძლება ამოსავალ წერტილს, მისთვის დამატებას წარმოადგენს ზემოთ დასახელებული თავისებური დეტალები, რომლებიც გვაძლევს საშუალებას დავინახოთ მსგავსება VI საუკუნის პირველი ნახევრის სხვა ძეგლებთან – პირველ რიგში ეს არის ახმეტის ღვთაება, კონდამიანი და ქასურის წმ. გიორგი, სადაც საინტერესოა ზესწრაფვის ფაქტი, გამოყოფილი სამკვეთლო, სამხრეთ მინაშენი და მასში სარკმლის არ არსებობა, და ბოლოს, ტექნიკური თავისებურება თაღების ამოყვანისა – შირიმის დაჭრილი ქვებისგან"[10] (ნახ. 3).

მიუხედავად ტიპოლოგიური სახესხვაობისა საკმაოდ მრავალად იკითხება გეგმარებითი თუ სივრცით-კონსტრუქციული ელემენტები, რომლებიც ძლიერ აახლოვებს ახმეტის დასახელებულ ძეგლს „ცხრაკარას" სტრუქტურულ გადაწყვეტა-გააზრებას-

---

მოძღვრებაში მაინც VI საუკუნის II ნახევრიდან უნდა ვიგულვოთ. მართალია, სამნაწილედი საკურთხევლის გამართვის „ფორმალური პრაქტიკა" ჯერ კიდევ V ბოლოს (ვაჩნაძიანის მონასტრის სამნავიანი ბაზილიკა მინაშენებით) და VI დასაწყისში (ანჩისხატის ეკლესია თბილისში) იჩენს თავს, მაგრამ ეს არ გახლავთ სტრუქტურულად გამართული და ფუნქციურად ჩამოყალიბებული და კონკრეტული დანიშნულების მატარებელი სათავსები. ცნობილია ისიც, რომ საქართველოში და აღმოსავლეთ საქრისტიანოში სამკვეთლო-სადიაკვნის ფუნქციის საბოლოო განსაზრა X-XIII საუკუნეებში მოხდა. აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალურად იხ., გ. ჩუბინაშვილი, *ქართული ხელოვნების ისტორია*, ტფ., 1936, გვ. 34-35; ვ. ბერიძე, *ქართული ხელოვნების ისტორია,* ტ. I, გვ. 56; ნ. არონიშიძე, დურუჯისპირა ბაზილიკის კომპოზიციის რაობისთვის, *საქართველოს სიძველენი,* 20, 2017, გვ. 61-97.

[9] ცხადია, მოცემული მსჯელობის, ძველი შუამთვის ბაზილიკის ადრეული დათარიღების, სხვა, არაერთი ნიშნან-მახასიათებლის მოხმობაა შესაძლებელი, თუმცა უშუალოდ წერილის მიზნობრიობის გათვალისწინებით, რომლის მთავარი ხაზი არასგზით აყენებს ეჭვქვეშ ძველი შუამთის დასახელებული ნაგებობის მიღებულ დათარიღებს, მათზე საგანგებო მსჯელობას, შესაბამისად ამ მახასიათებელთა დეტალიზებას, აღარ მოვყვებით.

[10] Г. Чубинашвили, *Архитектура Кахетии...,* გვ. 54.

თან. აღნიშნულის ნათელი დადასტურება წარმოდგენილია საერთო-გეგმარებითი განააზრის მრავალ ასპექტში თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ მომენტს, რომ მატანში დასავლეთი „ნავი“ ერთიანი გარშემოსავლელის სიტემაშია ჩასმული, ხოლო ახმეტაში ამავე მონაკვეთზე გვერდით ნავთაგან დამოუკიდებელი, დასავლეთი მინაშენია მოცემული. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ცენტრალურ დარბაზს დაქვემდებარებულ გვერდით სივრცით ელემენტებზე. სახასიათო და ძლიერ საყურადღებო ამ შემთხვევაში მათი საერთო ნიშნებიდან ის მომენტებია, რომლებიც მთავარი და გვერდითი ნავების ურთიერთდამოკიდებულებაში და მათს ინდივიდუალურ-ფუნქციურ გააზრებაში იკვეთება. მატანის მსგავსად, მოცემულ შემთხვევაშიც აფსიდი ნაკლები სიღრმით ხასიათდება, ხოლო სარკმელთა განთავსების არეალი დაახლოებით ერთგვაროვანია. საყურადღებოა მოცემული ძეგლების ჩრდილოეთი ნავებისა და მათი დამოკიდებულების საკითხი იმავე ცენტრალურ ნავთან – საგანგებოდ კი ის, რომ ორსავ შემთხვევაში ჩრდილოეთი ნავი მართკუთხა სვეტზე გადამავალი ორთაღედითაა გახსნილი მთავარ დარბაზთან მიმართებით, რაც სივრცითი ფორმირების ერთგვაროვან ხასიათს აყალიბებს. გარდა ამისა, ჩრდილოეთ ნავთა აღმოსავლეთი სტრუქტურები სრულებით ერთსახოვან ფუნქციურ და მხატვრულ გააზრებად იკითხება, სადაც გვხვდება ჩდილო-აღმოსავლეთი სათავსი, რომელიც კარითაა გამიჯნული ნავის დანარჩენი ნაწილიდგან და სრულებით ცალსახად ქმნის „სამსხვერპლოს“ ფუნქციის მატარებელ დამოუკიდებელ სათავსს.

რაც შეეხება ძეგლთა სამხრეთი მკლავების გააზრების თავისებურებებს, საგულისხმოა, რომ ორივე ვარიაციაში ის ერთი კარითაა დაკავშირებული ცენტრალურ სათავსთან – ცხადია, „ცხრაკარას“ ცენტრალური დარბაზის სამხრეთ კედელში გაჭრილი კიდევ ერთი ღიადი, საკურთხევლის სიახლოვეს, გვიანდელია. „ღვთაების“ სამხრეთი ნავის თვით-ორგანიზება, მისი დამოუკიდებლობა და აღმოსალეთ კუთხეში გამოყოფილი სახით განთავსებული, გუმბათებრი კამარით დასრულებული სათავსი ქმნის საკმაოდ მკაფიო ერთგვაროვნებას მატანის ამავე მონაკვეთის ფუნქციურ-გეგმარებით გააზრებასთან. აღსანიშნავია, რომ გუმბათებრი მოტივით გაფორმებული სივრცითი ერთეული, რომელიც მატანის „ცხრაკარაში“ სამხრეთი ნავის ცენტრშია მოქცეული, ახმეტაში იმავე ნავის დასავლეთ კუთხეშია გატანილი. გარდა მოცემულ ნავებში განთავსებული გუმბათოვანი სივრცეებისა, ამ შემთხვევაში საყურადღებოა ის გარემოება, რომ ორივე ძეგლის ეს ელემენტი თითქმის სრულებით ერთგვაროვანი გადაწყვეტით ხასიათდება – ორივეგან სახასიათოა მათივე კამარის ჯვრის ფორმის სარტყლებით გაფორმების მხატვრული მოტივი. მათი არსებობის მიუხედავად, საგანგებოდ აღარ შეეხებით სხვა მხატვრული და კონსტრუქციული ელემენტების მიმსგავსებულობას, თუმცა უნდა ითქვას, რომ მატანშიც და ახმეტაშიც მოცემული სამხრეთი ნავი დაკავშირებულია დასავლეთ გარშემოსავლელთან (სურ. 7-8).

უთუოდ სახსენებელია, რომ ისევე, როგორც „ცხრაკარას ბაზილიკაში“, ახმეტის „ღვთაებაშიც“ ხსენებული გუმბათები მხოლოდ ინტერიერში იკითხება და მათი მინიშნება ექსტერიერის მასებში არსად ჩანდა, რაც გარკვეული ტენდენციის მაჩვენებელია, რომელიც კონკეტული დროითი მონაკვეთისთვისაა სახასიათო, თუმცა ამაზე ოდნავ მოგიანებით.

ახლა,მოკლედ უნდა შევეხოთ თავად ახმეტის „ღვთაების“ დათარიღების საკითხს და აღვნიშნოთ, რომ ეს საყურადღებო ძეგლი, რომელიც გ. ჩუბინაშვილს მატანის ადრეულობის მადასტურებელ მაგალითად აქვს მოხმობილი[11] და ჩვენი კვლევის კონტექსტშიც გამორჩეულ მნიშვნელობას იძენს. ი. ელიზბარაშვილის მიერ, სრულებით სამართლიანად,მყარი არგუმენტაციის საფუძველზე,გადათარიღებული აქვს და მისი აგების დროით მონაკვეთად,არა VI,არამედ VIII საუკუნე აქვს მიჩნეული[12]. მოგვყავს მოკლე ამონარიდი მისი კვლევიდან, სადაც აღნიშნული საკითხია გაშუქებული: „ამგვარად, ახმეტის „ღვთაებაში“, ინტერიერი, თავისი გართულებული დეკორით, დეკორატიული თაღების მეშვეობით შექმნილი მოძრავი კედლის სიბრტყეებით VIII-IX საუკუნეების მხატვრული ხედვით ხასიათდება. ამიტომაც აღიქმება იგი პროგრესულად არა მხოლოდ VI საუკუნისთვის,არამედ თვით VIII საუკუნისთვისაც. ახმეტის „ღვთაებაში“ ძალიან მკაფიოდ შეიგრძნობა ორი სტილისტური ეპოქისათვის დამახასიათებელი ნიშნების თანხვედრა VIII-IX საუკუნეთა უპირატესობით. მასში ეს ხანა უფრო მძაფრად აღიქმება, ამ ეპოქის ნიშნები უფრო ძალოვანია, ვიდრე ეს შეიძლება ითქვას ამავე პერიოდში, VIII საუკუნეში აგებულ ისეთ ძეგლებზე, როგორიცაა ტაბაკინის „ძლევის წმ. გიორგის ეკლესია“, ნეძიხის „ბზიანასა“ და ახალსოფლის „ბზიანის“ წმ. გიორგის ეკლესია“[13]. შესაბამისად, მატანის „ცხრაკარას“ გეგმარებითი, სივრცითი თუ კონსტრუქციული ელემენტების მსგავსება ახმეტის ეკლესიასთან არა მატანის ადრეულობის, არამედ მისი გარდამავალი ხანის ნიშნების მადასტურებელია და ის მხოლოდ ამ კონტექსტში შეიძლება განიხილებოდეს.

ის ნიშნები, რომელთა საფუძველზეც ახმეტის დასახელებული ნაგებობა და ჩვენი მთავარი საკვლევი ობიექტი თვალნათლივი დამაჯერებლობით ავლენს სიახლოვეს, იმავე გარდამავალი ხანის, VIII-IX საუკუნეების არაერთ ძეგლში ფიქსირდება. სამხრეთი და ჩრდილოეთი ნავების გააზრების სისტემა – მათი გადაწყვეტა და ფუნქციური მოწყობა, ცენტრალური ეკლესიისა და გვერდითი ნავების მიმართების საკითხი,„დაფარული გუმათების“ მოტივი, ინტერიერ-ექსტერიერის ურთიერთდამოკიდებულება, აღმოსავლეთი თუ დასავლეთი მონაკვეთების სტრუქტურირება, დეკორატიული და მხატვრულ-კონსტრუქციული ელემენტების სახეობრიობა ანუ მკაფიოდ სახასიათო ნიშნები, რომლებიც ჩვენ დავადასტურეთ ახმეტასა და მატანში, სხვადასხვა სახით წარმოდგენილია გარდამავალი ხანის ისეთ ნაგებობებში, როგორებიცაა: დავათს ღვთისმშობლის ეკლესია, ნეძიხის „ბზიანა“, საყრდიონის წმ. გიორგის ეკლესია, სნოს ახალციხის სამნავიანი ბაზილიკა, ცხვარიჭამიის „დიდი საყდარი“, ბაღიანთკარის ეკლესია, ტაბაკინი, წირქოლი, კაბენი, არმაზი, თელოვანის ჯვარპატიოსანი, ნეკრესის გუმბათოვანი ტაძარი, ვაჩნაძიანის ყველაწმინდა და ა. შ.[14]

---

[11] Г. Чубинашвили, *Архитектура Кахетии...,* გვ. 54.

[12] ი. ელიზბარაშვილი, *ორნავიანი ეკლესიები საქართველოში,* სახელოვნებათმცოდნეო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერი, თბ., 1994.

[13] იქვე, გვ. 16.

[14] ცხადია, ამით არ სრულდება მაგალითები, რომლებიც აშკარა თუ ირიბ გავლენებს აჩვენებს მატანის „ცხრაკარასა“ და გარდამავალი ხანის ქართული ხუროთმოძღვრების ტენდენციასა და მის მააშკარავებელ ძეგლებს შორის, თუმცა ისიც ნათელია, რომ რაოდენობა არსს არ ცვლის და ვგონებთ, მოხმობილი ნიმუშები სრულებით საკმარი და დამაჯერებელია საკითხის ერთი ნაკვეთის გადაწყვეტისთვის.

საყურადღებოა შედარებით ადრეული პერიოდით დათარიღებული ოჟიოს, იგივე ბაიხოს VII საუკუნის მეორე ნახევრის სამების ეკლესია,[15] რომლის გეგმარებაც ერთი მხრივ, ძლიერ უახლოვდება ზემოთ ჩამოთვლილი ნაგებობების ნაწილს, ხოლო მეორე მხრივ, საკმაოდ მნიშვნელოვან პარალელებს გვიჩვენებს მატანის ჩრდილოეთ ნავის, ცენტრალური დარბაზისა და სამხრეთი მონაკვეთის გააზრება-გადაწყვეტის კუთხით (ნახ. 4). გარდა ამისა, არსებითია ის სახასიათო მომენტები, რომლის მიხედვითაც გეგმარებით-სივრცითი მოწყობის ერთგვაროვნება დასტურდება ბაიხოსა და ახმეტის „ღვთაების" ეკლესიებს შორის – რომ არაფერი ვთქვათ ცენტრალურ დარბაზსა და მის მიმართებაზე გვერდით ეკლესიებსა თუ ნავებთან, აშკარაა აღმოსავლეთის სტრუქტურის ფუნქციურად ერთგვაროვანი გააზრება და სამხრეთი ფლიგელის დასავლეთ კედელში გაჭრილი კარის სახით წარმოდგენილი საერთოობა. ამდენად, ცხადია, რომ ესოდენ მგვანი მატანის „ცხრაკარა" და ახმეტის „ღვთაება", რომელსაც პირდაპირ პარალელად ევლინება ბაიხოს ეკლესია, უნდა მივიჩნიოთ გარკვეული ტენდენციების მააშკარავებელ კონკრეტულ ჯგუფად, რომლის მრავალფეროვნებასაც, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, ქმნის ძეგლთა ზემოთ ჩამოთვლილი და არ მოხსებიებული ნაწილის, მრავალრიცხოვნება[16].

ვფიქრობთ, რომ მატანის ეკლესიის შუამთის ბაზილიკასთან მიმართებით წარმოჩენილი სახესხვაობები და ამასთანავე, მისი აშკარა სიახლოვე ზემოთ ნახსენებ თუ პირდაპირ პარალელად მოხმობილ, ძეგლებთან ეჭვს არ ტოვებს მისი გარდამავალი ხანით, VIII-IX საუკუნეებით დათარიღების რეალურობის კუთხით, თუმცა გვსურს შევეხოთ კიდევ რამდენიმე ასპექსტს, რომელთა საფუძველზეც მოცემული დათარიღება შეიძლება მეტი სიმყარით წარმოჩინდეს.

„ცხრაკარას" გეგმარებითი თუ სივრცითი გადაწყვეტის კიდევ ერთი მხარე, რომელიც შესაძლოა დათარიღების კუთხით გარკვეული კითხვის ნიშნების მატარებელი აღმოჩნდეს, არის მისი სამხრეთი ნავის ცენტრალურ ნაწილში მოწყობილი კვადრატული სივრცე, რომელიც ჯვრულ-სარტყლოვანი ელემენტით გაფორმებული გუმბათით სრულდება. თავისთავად, აღნიშნული გადაწყვეტა, რომ არაფერი ვთქვათ თავად გუმბათქვეშა სივრცის, „ტრომპული" ვარიაციისა თუ მისი კამარის გააზრება-გაფორმებაზე, მკაფიო მინიშნებებს ჰპოვებს იმავე გარდამავალი ხანის, VIII-IX საუკუნეების, სახასიათო, დროით-მამეტყველებელ ძეგლებთან. მოკლედ, უთუოდ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ აქ საქმე გვაქვს არა მხოლოდ გუმბათთან ან მის მოწყობა-გადაწყვეტასთან, არამედ ამ მხატვრულ-საზრისობრივი ელემენტის „არატრადიციულ", „უჩვეულო" და ფუნქციურად „არაპირდაპირ" გამოყენებასთან, რაც გარდამავალი ხანის „შინაგანი ლოგიკიდან" გამომდინარე გარკვეულ კანონ-

[15] Г. Чубинашвили, *Архитектура Кахетии...,* გვ. 91-94.

[16] ბაზილიკათა ერთი ნაწილი (ახმეტის ღვთაება, ბაიხოს სამება, მატანის „ცხრაკარა" და ა. შ.) ათვალსაჩინოებს ძალზე საყურადღებო ტიპოლოგიური „კომბინირებულობის" ნიშნებს. ნაგებობათა ამ ერთი, ძალზე კონკრეტული, ჯგუფისთვის სახასიათოა სამნავიანი, სამეკლესიიანი და ორნავიანი ტაძრების სივრცით-გეგმარებითი გააზრების ერთგვარი თანაარსებობა, თანაყოფნა. დაგეგმარებითა თუ ცალკეულ ნაწილთა სივრცითი ურთიერთმიმართების თვალსაზრისით თავს იჩენს ერთ ნაგებობაში სხვადასხვა ტიპის ძეგლთა სახასიათო მანიშნების არსებობა, რომლის პირველწყაროს გამორკვევა რთულია. საკითხი, სამომავლო, დამატებითი კვლევის საგანია – საფიქრებელია, რომ ქართული ხუროთმოძღვრების არსებული ტიპოლოგიური ნაირგვარობა ხსენებული საკითხის ანალიზის შემდგომ კიდევ უფრო მრავალწახნაგოვანი გამოჩნდება.

ზომიერებადაც კი აღიქმება. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, „მატანის“ შემთხვევაში მოცემულია, თუ შეიძლება ასე ითქვას, „დაფარული გუმბათი“, რომელსაც ერთი მხრივ, არ გვკარნახობს ნაგებობის საფუძველმდებარე ტიპოლოგიური მოცემულობა, ხოლო მეორე მხრივ, ის არ აღიქმება შენობის კორპუსის გარეგან მასებში.

გეგმარების, ექსტერიერისა და ინტერიერის ურთიერთმიმართება, მათი ან მათში მოთავსებული ფორმების მკაფიო „აღქმადობა“ თუ „დაფარულობა“ ცხადია, ქართული ხუროთმოძღვრების სამეტყველო ენის შემადგენელს წარმოადგენს. ამდენად, ექსტერიერში „წაუკითხავი“ ფორმის ინტერიერში „მოულოდნელი გაცხადება“ მკაფიო მინიშნებას ავლენს მისსავ დროით განსაზღვრულობასთან. ვფიქრობთ, სწორედ ამგვარ კონტექსტში უნდა წავიკითხოთ, როგორც მატანის „ცხრაკარას“ დასახელებული გუმბათოვანი მოტივი ისე, ახმეტის „ღვთაების“ სამხრეთი ფლიგელის აღმოსავლეთ და, განსაკუთრებით, დასავლეთ კიდეში განთავსებული კამაროვანი დამასრულებლები (სურ. 9-10).

ინტერიერ-ესტერიერტის ცვალებადობის ნათელი და საყოველთაოდ ცნობილი ვარიაციების სახით უთუოდ სახსენებელია წირქოლისა და ქსნის არმაზის, იმავე გარდამავალი ხანის, ძეგლები, რომელთა გარე მასები პირდაპირი სახით სრულებითაც არ გულისხმობს გუმბათით განსრულებულ იმდაგვარ ინტერიერებს, როგორებიც ორივე ამ ნაგებობის შემთხვევაში გვხვდება. რაღა თქმა უნდა, ორსავე დასახელებულ შემთხვევაში აქცენტი მათ „უჩვეულობაზე“ და იმ გარემოებაზე მოდის, რომელიც „დაფარული გუმბათის“, ზემოთ ხსენებულ ტენდენციას ეხმიანება და არა, მათ უშუალო მსგავსებაზე მატანის სამხრეთი ნავის გუმბათოვანი გადაწყვეტის პირველფორმასთან[17].

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ გუმბათოვანი კამარის რელიეფური ჯვრით გაფორმების მოტივი სრულებითაც არაა უცხო გარდამვალი ხანის ძეგლებისთვის. რ. მეფისაშვილი ჩამოთვლის რა გუმბათის ჯვრით გაფორმების ადრეული პერიოდის ნიმუშებს დასძენს: „გუმბათის არეზე ჯვრის გამოსახვა VI-VII საუკუნეებში მცხეთის ჯვრის დიდ ტაძარში, სამწევრისში, ატენის სიონში, შემდეგ VIII საუკუნეში თელოვანის ჯვარპატიოსანის და IX საუკუნის ქსნის კაბენის ძეგლებში გვხვდება. მატანის „ცხრაკარასა“ და ახმეტის ღვთაების VI საუკუნის ბაზილიკების სამხრეთის მონაკვეთებს ჯვრებით შემკული მცირე გუმბათები აქვთ...“[18]. ამის შემდგომ ავტორი მოკლე შედარებას ახდენს მატანისა და ცხვარიჭამიას სივრცობრივი ერთეულების განსხვავების მიზნით, თუმცა მათ შორის პრინციპული სხვაობის არარსებობის გამო, არც თუ წარმატებით. ცხადია, რომ სხვაობათა ძიებისა და დადასტურების აუცილებლობა და მისით გამოწვეული უხერხულობა, ახმეტის „ღვთაებისა“ და მატანის „ცხრაკარას“ მიჩნეული ადრეული თარიღებია[19]. მათგან, რო-

[17] მოხმობილ მაგალითებში მხოლოდღა გუმბათის კონსტრუქციის „უეცარი გაცხადება“ გვესახება არსებითად და არა, რა თქმა უნდა, მათი ფორმისმიერი აგების სტრუქტურა ან თუნდაც გუმბათის, როგორც სივრცითი-ფუნქციური მაფორმირებლის ერთგვაროვნება.

[18] რ. მეფისაშვილი, VIII-IX საუკუნეების სამეკლესიიანი ბაზილიკა ცხვარიჭამიაშვი, *ძეგლის მეგობარი*, 62, 1983, გვ. 12.

[19] ცხვარიჭამიას სამეკლესიიანი ბაზილიკის ანალიზისა და დათარიღების მცდელობისას რ. მეფისაშვილი ხედავს რა გარდამავალი ხანის აშკარა ნიშნებს, მაინც უწევს მხატვრულ-სტილ-

გორც ვახსენეთ ახმეტის ტაძარი ი. ელიზბარაშვილის მიერ სწორედ VIII საუკუნით იქნა დათარიღებული. ამდენად, გამოდის, რომ გ. ჩუბინაშვილი ახმეტის „ღვთაების“ ადრეული პერიოდის დათარიღებაზე დაყრდნობით უგულებელყოფს მატანის „ცხრაკარაში“ მისსავე შემჩნეულ, გარდამავალი ხანის ნიშნებს, ხოლო რ. მეფისაშვილს იმავე „ღვთაების“ ადრეულად მიღების გათვალისწინებით უწევს გარკვეული უხერხულობის თავიდან არიდება ცხვარიჭამიას „დიდი საყდრის“ გარდამავალი ხანით დათარიღების პროცესში. შესაბამისად, ი. ელიზბარაშვილის მიერ ახმეტის ტაძრის VIII საუკუნით დათარიღება, ორივე ამ სირთულისთვის წარმოადგენს არსებრივ გამოსავალს – რჩება კვლავ მატანის „ცხრაკარა“ და მისი დათარიღებაც, წარმოდგენილი პარალელური მასალის გათვალისწინებით, VIII-IX საუკუნეებით ვფიქრობთ, რომ უკვე სრულებით დამაჯერებელი ჩანს.

როგორც ჩანს, გაცილებით ახლო პარალელს, „ცხრაკარას“ გუმბათის ხსენებული მოტივი, პოულობს ცხვარიჭამიას VIII-IX საუკუნეებით დათარიღებულ სამეკლესიიან ბაზილიკასთან, რომლის სამმხრივი გარშემოსავლელის დასავლეთ „ნავშიც“, ცენტრალურ ღერძზე, აღმართულია ჯვრის შვერილი სარტყლებით გაფორმებული გუმბათი. ორივე შემთხვევაში წარმოდგენილი გუმბათებრი დაბოლოების ეს სივრცითი ელემენტები ტაძრის მთავარი და დაქვემდებარებული მონაკვეთების დამაკავშირებელ რგოლად გვევლინება, სადაც ცხვარიჭამიაში სამი, ხოლო მატანში ოთხი მხრით გახსნილი გუმბათქვეშა კვადრატი, შესაბამის ნავთა ერთგვარ ცენტრებად ყალიბდება (ნახ. 5) (სურ. 11). აღსანიშნავია, რომ ცხვარიჭამიაში ხსენებული გუმბათი მოქცეულია ცენტრალური ეკლესიის ორფერდა გადახურვის ქვეშ და მისი გვირგვინი ცენტრალურივე დარბაზის კამარის დონემდეა აზიდული. რა თქმა უნდა, წინამდებარე გადაწყვეტა ასევე მხოლოდ ინტერიერში მჟღავნდება და მისი გარე მასებისთვის ის სრულადაა დაფარული. გარდა ამისა, მიუხედავად ტიპოლოგიური სხვაობისა, მოცემული ნაგებობების ძირითადი გეგმარებითი განააზრი ერთგვაროვანია და ის განსაკუთრებით აქტიურად თავჩენილია ცენტრალური დარბაზის პროპორციებში, მისი გაფორმების ელემენტებსა და სივრცით ორგანიზებაში.

ცხვარიჭამიას მთავარ დარბაზთან დაკავშირებით რ. მეფისაშვილი შენიშნავს: „მას აქვს შუა მაღალი, კამარით გადახურული სივრცე, რომელსაც სამივე მხარეს გარშემოსავლელი ესაზღვრება. შუა ეკლესია ძალიან მაღალი და მოხდენილი პროპორციებისაა. ტრიუმფალური თაღი და აფსიდის კუთხეები მცირე ნაშვერ-

---

ისტური ანალიზის ფარგლებში შედარებითი სჯის წარმართვა – ცხვარიჭამიას ნაგებობის გეგმარების, სივრცის მოწყობის, დეკორატიული გაფორმებისა და სხვა ნიშნების მათარიღებელი „სახეობრიობის“ ანალიზისას ავტორი მოიხმობს, როგორც ადრეული პერიოდის, ისე გარდამავალი ხანის ძეგლებს და ასკვნის, რომ ეს უკანასკნელი ნამდვილად გარდამავალი დროის აღმშენებლობას განეკუთვნება, მაგრამ მისთვის გარკვეულ სირთულედ წარმოჩინდა ის ძეგლები, რომლებიც „პირდაპირ პარალელს“ წარმოადგენდა ცხვარიჭამიას არქიტექტურისთვის და გ. ჩუბინაშვილის თუ ვ. ბერიძის მიერ დათარიღებული იყო ადრეული პერიოდით. აღსანიშნავია, რომ ამ ძეგლთაგან ერთი, ახმეტის ღვღაება, გადაათარიღა ი. ელიზბარაშვილმა VIII საუკუნედ, ხოლო მეორე, მატანის „ცხრაკარა“, ჩვენი ხედვით, ასევე გარდამავალი ხანის ხუროთმოძღვრების ნიმუში უნდა იყოს. ამდენად, ცხვარიჭამიას არქიტექტურასთან ორივე ამ ძეგლის მხატვრულ-კონსტრუქციული გააზრების სიახლოვე, უთუოდ სწორი მიგნება იყო და ის, ერთადერთი, უხერხულობაც, რომელიც რ. მეფისაშვილს განსხვავებულმა დათარიღებამ შეუქმნა, სადღეისოდ დაძლეული უნდა იყოს.

ითაა გამოყოფილი ძირითად სივრცეს. სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებს ორ-ორი კედლის თაღი ამკობს... შუა ეკლესია ნათდებოდა ორი ვიწრო, შიგნისაკენ მცირედ გაგანიერებული სარკმლით, აღმოსავლეთისა და სამხრეთის მხარეს"[20]. განსაკუთრებული და დეტალური შედარების გარეშეც შეიძლება ითქვას, რომ საერთო სივრცითი მეტყველების, სივრცის მოსაზღვრა-გაფორმების მხრით წინამდებარე დახასიათება, თითქმის სრულად, გულისხმობს მატანის იმავე უჯრედის გადაწყვეტის თავისებურებებს. მცირე ზომის დეკორატიული, კონსტრუქციული თუ სემანტიკური მნიშვნელობის ელემენტების ურთიერთშედარება-შეპირისპირებასაც საკმაოდ დამაჯერებელ ერთგვაროვნებამდე მივყავართ. მომცრო ზომის გუმბათოვანი კამარის ზედაპირს, ორივეგან, ქვის წყობაში გამოყვანილი ჯვარი ამკობს. იმპოსტების ვიწრო თაროს და ქვედა ფართე, ოდნავ მომრგვალებული ფორმა ასევე მეორდება ორსავ შემთხვევაში. ურთიერთმსგავსია კუთხოვანი თუ ცენტრალური კაპიტელების ფორმები, კედლის დეკორატიული თაღების მოხაზულობები და მათი მალების აგების ტექნიკური წყობაც.

დასასრულ კვლავაც უნდა დავუბრუნდეთ მატანის „ცხრაკარას" უკვე ხსენებულ გადაკეთებათა საკითხს. გვერდის ნავებსა და მთავარ ტაძარს შორის გაჩენილი, ურთიერთმაკავშირებელი ღიობები თუ გარშემოსავლელ სისტემაში შეცვლილ-განახლებული კედლის თაღ-პილასტრთა ნაწილი ამ შემთხვევაში სრულებით არ გახლავთ გადამწყვეტი მნიშნელობის დათარიღების თვალსაზრისით[21]. განსაკუთრებული ყურადღება მიმართულია ცენტრალური დარბაზის სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზე, მათ დეკორატიულ გაფორმებასა და იმ მხატვრულ ეფექტზე, რომლის შესახებაც გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს: „აღდგენა შუა და შესაბამისად სამხრეთისა და დასავლეთის ნავებისა, გამოყენებული ფორმების მიხედვით უნდა განვაკუთვნოთ VIII-IX საუკუნეებს. არკატურა ჰგავს გარე შემკულობას კისისხევის ღმრთისმშობლის ეკლესიის გუმბათისა[22], თუმცა ცხრაკარაში ნახევარსვეტები ბევრად უფრო მძიმეა კისისხევთან შედარებით. აქ ჯერ მხოლოდ ფორმის მოძიების პროცესი მიდის და აღდგენის მთელი ხასიათი ამ ძიებების პროცესს ასახავს. ამიტომაა, რომ მისი VIII-IX საუკუნეებით დათარიღება ბუნებრივად ჩანს"[23].

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გ. ჩუბინაშვილი მატანის „ცხრაკარას" არქიტექტურაში ხედავს, როგორც ადრეული, ისე გარდამავალი ხანის ნიშნებს – ადრეუ-

[20] რ. მეფისაშვილი, VIII-IX საუკუნეების სამეკლესიიანი..., გვ. 7.

[21] აღნიშნული მონაკვეთების მცირედი განახლება-გადაკეთებები შედარებით მოგვიანო, XV-XVI საუკუნეთა ჩარევად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა ცხადია, ამ შემთხვევაშიც მათი მნიშვნელობა დათარიღების საკითხში მეორეხარისხოვანია.

[22] კისისხევის, ყველაწმინდის სამონასტრო კომპლექსის გუმბათოვანი ნაგებობა, რომელიც VI-VII საუკუნეების აღმშენებლობას წარმოადგენს, გადაკეთებულია. გ. ჩუბინაშვილის მიერ მითითებული გუმბათის არკატურა, ყოველ შემთხვევაში მისი ერთი მონაკვეთი ანუ თაღთა ზედა ნაწილები, მოგვიანებითაა ამოყვანილ-ამაღლებული, რასაც ნათლად ააშკარავებს გუმბათის ყელის დამასრულებელი ლავგარდანი. აღნიშნული აღდგენის ფენა X-XI საუკუნეებს უნდა განვაკუთვნთ და აღვნიშნოთ, რომ მეცნიერის შემოთავაზებული შედარება არ ათვალსაჩინოებს მკაფიო მსგავსებას და ვერც მატანის ინტერიერის არკატურის ზუსტ დათარიღებაში დაგვეხმარება. ისიც აღსანიშნავია, რომ გ. ჩუბინაშვილის მოხმობილი ციტატიდან აშკარად ჩანს, რომ ის მატანის არკატურას კისისხევზე ადრეულად მიიჩნევს.

[23] Г. Чубинашвили, *Архитектура Кахетии...,* გვ. 55.

ლად ის მიიჩნევს ძველი შუამთის გეგმარებითი კომპოზიციის აშკარა და მკაფიო მანიშნებს, ხოლო ინტერიერში განთავსებული კედლის დეკორატიული თაღები სრულებით ლოგიკურად მას გარდამავალ ხანად ესახება. ასეთ შემთხვევაში საჭირო გახლდათ მოცემული გარემოების ლოგიკური ახსნა ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, და ამასთანავე, არჩევანის გაკეთება ამ ორ დროით მონაკვეთს შორის, რომლის ნიშნებსაც ამჟღავნებდა მატანის ბაზილიკა. შედეგი ჩვენთვის კარგად ცნობილია, ის პირველადი მძაფრი შთაბეჭდილება ურთიერთმსგავსებისა, რომელიც მატანისა და შუამთის მაზილიკათა გეგმარებაში იკითხება, აღმოჩნდა წამყვანი მნიშვნელობის[24], არა მხოლოდ მისთვის, არამედ სრულად ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის, რადგან მინიმუმ სამოცი წელია ყველა გამოცემასა და სალექციო კურსში აღნიშნული საკითხი სწორედ ამგვარად ანალიზდება – წინამდებარე მოცემულობაში ეჭვი არავის შეუტანია[25]. შესაბამისად, გ. ჩუბინაშვილმა გარდამავალი ხანის ის მკაფიო მააშკარავებელი მოცემულობა, რომელიც ინტერიერში, ცენტრალური დარბაზის სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზე შენიშნა, მომდევნო ხანის გადაკეთებად მიიჩნია.

ჩვენი ესპედიციის ფარგლებში საგანგებოდ იქნა შემოწმებული სწორედ დასახელებული თაღედი და პირველადი შესწავლა-დაკვირვების შედეგად ვთვლით, რომ შირიმით გამოყვანილი კედლის დეკორატიული ორთაღედები, საკურთხევლის სიახლოვეს, პირველადია. წინამდებარე საკითხის დეტალურ ახსნა-განმარტებას, აღწერასა და დასაბუთებას აღარ მოვყვებით – ვიტყვით მხოლოდ, რომ ის სრულებით ნათლად გაანალიზებულ-გამართული, წინასწარი მხატვრული განააზრის შედეგია, რომელიც იმავდროულად გარკვეული პერიოდის მხატვრული აზროვნების, ტენდენციის მაჩვენებელიც გახლავთ. გარდა ამისა, კონსტრუქციული, ტექნიკურ-საშემსრულებლო მიმართულებით ის აბსოლუტურად არ ატარებს რაიმე გადაკეთების შესაძლო კვალს და სრულებით ურღვევადაა მორგებული, თავდაპირველ ფენად მიჩნეულ, ისეთ რთულ კონსტრუქციულ მონაკვეთს, როგორიცაა კამარა[26]. მოცემუ-

[24] ამგვარი არჩევანი, ქართული ხუროთმოძღვრების კვლევის იმ ეტაპზე, რა დროსაც გ. ჩუბინაშვილი აღნიშნული ნაგებობის დათარიღებაზე მუშაობდა, სრულებით ლოგიკურია, რომ აღარაფერი ვთქვათ მთავარ მათარიღებელ ძეგლთან, ძველი შუამთის ბაზილიკასთან, აშკარა გეგმარებით-სივრცობრივი მოწყობის მსგავსებაზე. ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმასაც, რომ უამრავი ძეგლი, რომელთა გამოისობითად შესაძლებელი გახდა ქართული ხუროთმოძღვრების მთავარი ხაზის განვითარების შევსება, მოგვიანებით იქნა მიკვლეული, ხოლო არსებულ ძეგლთა ნაწილი, ასევე შემდგომ პერიოდში გადათარიღებული.

[25] წინამდებარე გამოკვლევის, მატანის „ცხრაკარას“ გადათარიღების, ისევე, როგორც მრავალი მნიშვნელოვანი კვლევის, გადასინჯვის, განახლების თუ ახლებური ხედვით გააზრების საფუძველი გახდა საუბრები ჩემს მასწავლებელთან – დიმიტრი თუმანიშვილთან, რომელიც თეორიულად უშვებდა, რომ „ცხრაკარა“ შესაძლოა გარდამავალი ხანის ნაქმნი ყოფილიყო, თუმცა სალექციო კურსებში ეს ცვლილება არ შეუტანია – ცხადია, იქამდე ვიდრე არ მოხდებოდა ძეგლის დროითი განსაზღვრულობის ცვლილება გამართული სამეცნიერო არგუმენტაციისა და შესწავლის საფუძველზე. სამწუხაროდ, მის სიცოცხლეში აღნიშნულ კვლევაზე მუშაობის დაწყებაც ვერ მოხერხდა და მხოლოდ ახლადა გახდა შესაძლებელი, საკითხის სამეცნიერო არგუმენტაციით გაშუქება.

[26] საყურადღებოა ცენტრალური დარბაზის ერთიანი, ნახევარწიული კამარისა და კონქის გამართვის ტექნიკური თუ მხატვრული სტრუქტურა, სადაც არსებითი მნიშვნელობის ის ურღვევობაა, რომელიც დაფიქსირებულია წყობაში. გარდა ამისა, ნატეხი ქვით შედგენილი კონქის წყობა მის წინ არსებული საკურთხევლის თაღის პირამდეა ამოსული, ცენტრალური დარბაზის კამარის აღმოსავლეთი ნაწილი ერთი „საფეხურითაა“ ამაღლებული, ხოლო იმავე კამარის დასავლეთი,

ლი მტკიცების სხვა საბუთიანობაც არსებობს, თუმცა ვგონებთ, აღარ უნდა იყოს საჭირო, ამ ეტაპზე, ძირეული და გამოწვლილვითი ანალიზი.

ძეგლის მხატვრულ-სტილისტურმა ანალიზმა, მისმა შედარებითმა სჯამ გვაჩვენა, რომ ეს უკანასკნელი ძირეულად განსხვავდება ძველი შუამთის V საუკუნი შუა ხანით დათარიღებული ბაზილიკისგან, ხოლო ამის საპირწონედ გეგმარებით, სივრცითი მოწყობით, კონსტრუქციული ელემენტების რაგვარობით, დეკორატიული მოტივებით თუ გარკვეული ფუნქციური თავისებურებებით თითქმის უგამონაკლისოდ პასუხობს ყველა იმ ეპოქალურ ნიშან-მახასიათებელს, საერთო მხატვრული აზროვნების ფორმას, რომელიც ესოდენ სახასიათოა გარდამავალი ხანისთვის. მოცემულობათა შეჯერებითა და მათი გათვალისწინებით მატანის „ცხრაკარა“, კვლევის ამ ეტაპზე, ვიდრე შესაძლებელი გახდება სხვა მცირე მნიშვნელობის საკითხების ზედმიწევნითი დაზუსტება, შესაძლებლად მიგვაჩნია დათარიღდეს VIII-IX საუკუნეებით.

მტკიცება, რომ მატანის მაშენებელი დიდწილად ძველი შუამთის გეგმარებითი კომპოზიციით სარგებლობდა, არსებითად გამართლებულად და ნიშნეულად მიგვაჩნია და ვთვლით, რომ მისი წაბაძვის, გამეორებისა თუ ინტერპრეტირების ან თუნდაც გაცოცხლების მცდელობა მხოლოდ მას მერეღა თუა სავარაუდებელი, რაც ძველი შუამთის განაშენიანებამ სამონასტრო კომპლექსის სახე მიიღო. ცნობილია, რომ V საუკუნეში აგებულ ბაზილიკას VII საუკუნეში საკმაოდ საყურადღებო გუმბათოვანი ნაგებოები დაემატა, ასევე სხვა უმნიშვნელოვანესი და გამორჩეული პირველწყაროთი ნასაზრდოები[27], რის მერეც ვფიქრობთ, აღნიშნული მონასტრის სიწმინდის მნიშვნელობა და ერთგვარი გავლენა, რაც ძლიერ სახასიათოა შუა საუკუნეების სამონასტრო კომპლექსთა თუ ადგილთა ისტორიისთვის, გაძლიერდა. მატანის შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს სწორედ ამ გამორჩეული, ძლიერი, სახელგანთქმული და შესაძლოა, სასწაულმოქმედებითი ნიშნით აღბეჭდილი სამონასტრო კომპლექსის ადრეული ნაგებობის VIII-IX საუკუნეთა ყაიდაზე ინტერპრეტირების მცედლობასთან.

მცირე ზომის, მონაკვეთი კიდევ ნახევარი „საფეხურით“ ზემოთაა. კამარის მსგავსი გადაწყვეტა ააშკარავებს ხუროთმოძღვრის თავდაპირველ ჩანაფიქრს, სადაც ცენტრალური ნავის სიმაღლის მცირედი დიფერენცირებით ახდენს სივრცის კონსტრუირების სპეციფიკურ თავისთავადობას. ის, რომ აღნიშნული არკატურა შემდგომი გადაკეთების შედეგი არაა, ნათლად უნდა იკითხებოდეს ცენტრალური ნავის გვერდით კედლებზე არსებული „თაღებისა და სვეტების“ უნაკერო ამოყვანითაც. აღნიშნულ დებულებას მხარს უჭერს ისიც, რომ არკატურის თავზე, კედლის თაღების ზემოთ, კამარა უშუალოდ თაღებზეა დაბჯენილი – ამდენად, შეუძლებელი იქნებოდა, მხოლოდ მექანიკური ჩარევით, არსებულ კედლებსა და კამარაზე არკატურის ისე გამართვა, რომ შესამჩნევად არ დარღვეულიყო წყობები თუ კონსტრუქციული ნაწილები. წინამდებარე არგუმენტაციის საფუძველზე, თითქმის შეუძლებელი ჩანს დარბაზის მხატვრული გაფორმების ხსენებული ელემენტების მოგვიანებით გამართვის შესაძლებლობა.

[27] იგულისხმება მცხეთის ჯვრის ტიპის ორი გუმბათოვანი შენობა, რომელთაგან ერთი უშუალოდ მცხეთი ჯვრის ასლს წარმოადგენს შემცირებულ ზომებში და თარიღდება VII საუკუნის I ნახევრით, ხოლო მეორე ამავე საუკუნის არეალში ექცევა – ესაა ქვეყნისა უმნიშვნელოვანესი სალოცავის ასლები, რაც სრულებით არ უნდა იყოს შემთხვევითი.

Nodar Aronishidze

MATANI "TSKHRAKARA" – PROBLEM OF THE CHURCH DATE

Determination of the date of erection of Matani "Tskhrakara" church was of special significance for the understanding of the development of Early Christian Georgian architecture. Based on studies undertaken by G. Chubinashvili as early as 1920-1920s and later on, in 1950s, the church was ascribed to the 5th c., similar to Dzveli Shuamta basilica. New observations carried out on the church proved that, due to its structural, artistic and functional characteristics, it shows closer affinity with the architecture of the Transitional Period, namely, 8th-9th cc. and not of earlier epoch. For the first researcher of the church, decisive factor for the determination of the date of its construction was similarity of the plan layout of Matani church with Early Christian basilica in Dzveli Shuamta, while Akhmeta "Gvtaeba" church, dated to the 6th c. by that time, which was referred to for the comparative analysis, served as an additional argument. In 1980s, I. Elizbarashvili has studied a group of churches, which she identified as the two-nave church typological group and, within this group, convincingly dated Akhmeta church to the 8th c.

Our study has clearly shown crucial differences revealed by the comparative analysis of Dzveli Shuamta and Matani churches, which definitely point to the later period of construction of the latter. Great affinity of various elements of Matani church and of the tendency manifested in them with such monuments of the Transitional Period as Akhmeta "Gvtaeba" church, Baikho Trinity church, Davati church of the Virgin, Nedzisi "Bziana" church, Sakdrioni church of St. George, three-nave basilica in Sno Akhaltsikhe, Tskhvarichamia "Didi Sakdari", Bagiantkari church, Tabakini, Tsirkoli, Kabeni churches, Telovani church of Holy Cross, Nekresi domed church, Vachnadziani Kvelatsminda church, etc. give grounds to ascribe Matani church to the Transitional Period, namely, 8th-9th cc.



ნახ. 1. მატანის „ცხრაკარა", გეგმა ნ. ჯაბუას მიხედვით



ნახ. 2. ძველი შუამთა, გეგმა ნ. ჯაბუას მიხედვით



ნახ. 3. ახმეტის „ღვთაება“, გეგმა გ. ჩუბინაშვილის მიხედვით



ნახ. 4. ბაიხოს სამება, გეგმა გ. ჩუბინაშვილის მიხედვით



ნახ. 5. ცხვარიჭამია, გეგმა, ჭრილები და რეკონსტრუქცია რ. მეფისაშვილის მიხედვით

სურ. 1. მატანის „ცხრაკარა“, საერთო ხედი, ფოტო ნ. არონიშიძე

სურ. 2. მატანის „ცხრაკარა“, ინტერიერი, ფოტო ნ. არონიშიძე

სურ. 3. მატანის „ცხრაკარა“, ინტერიერი, ფოტო ნ. არონიშიძე



სურ. 4-5. მატანის „ცხრაკარა“, ინტერიერი, დასავლეთ გარშემოსავლელის ნაწილი, ფოტო ნ. არონიშიძე

სურ. 6. ძველი შუამთა, საერთო ხედი, ფოტო დ. გაჩეჩილაძე



სურ. 7. ახმეტის „ღვთაება“,
სამხრეთი ნავი, ფოტო ნ. არონიშიძე

სურ. 8. მატანის „ცხრაკარა“,
სამხრეთი ნავი, ფოტო ნ. არონიშიძე



სურ. 9. ახმეტის „ღვთაება“, სამხრეთი ნავის გუმბათი, ფოტო ნ. არონიშიძე

სურ. 10. მატანის „ცხრაკარა“, სამხრეთი ნავის გუმბათი, ფოტო ნ. არონიშიძე

სურ. 11. ცხვარიჭამია, დასავლეთი გარშემოსავლელი, ფოტო რ. მეფისაშვილი